

საქართველოს თასი წყვილთა რბოლაში - 2018 წელი
(შეჯიბრების რეგლამენტი)

დამტკიცებულია სსსფ-ს მიერ
2018 წელი

1. შესავალი
2. ოფიციალური შეჯიბრების ამოცანები და მიზნები
3. შეჯიბრების ჩატარების უფლებები და ღონისძიებების კალენდარული გეგმა
4. შეჯიბრების სტრუქტურა, ჯგუფები და კლასიფიკაციები
5. სარბოლო მონაკვეთი (ტრასები)
6. შეჯიბრების უსაფრთხოება
7. ოფიციალური პირები
8. მონაწილეობის პირობები, მოთხოვნები მონაწილეებისა და მრბოლელების მიმართ
9. დაშვებული ავტომობილები და ტექნიკური მოთხოვნები
10. შეჯიბრების წესები
11. სასტარტო ნომრები, სავალდებულო წარწერები, რეკლამა
12. შედეგების განსაზღვრა და დაჯილდოება
13. პროტესტი, აპელაცია
14. მასობრივი საინფორმაციო საშუალებების აკრედიტაცია

მუხლი 1. შესავალი

- 1.1. წინამდებარე რეგლამენტი (შემდგომში სსსფ-ს რეგლამენტი) შედგენილია საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის მიერ და განსაზღვრავს 2018 წლის საქართველოს თასის ოფიციალური შეჯიბრების ორგანიზებისა და წარმართვის წესებს წყვილთა რბოლაში.
- 1.2. შეჯიბრების ორგანიზებისა და წარმართვის ნორმატიულ დოკუმენტაციად ითვლება:
 - სსსფ-ს სპორტული კოდექსი და მისი დანართები;
 - შეჯიბრების წარმართვის საერთო დებულებები (სსსფ-ს საერთო დებულებები);
 - წყვილთა რბოლის ორგანიზებისა და ჩატარების წესები;
 - სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილე ავტომობილების ტექნიკური მოთხოვნები და კლასიფიკაცია (ტექნიკური რეგლამენტი);
 - მოქმედი რეგლამენტი (სსსფ-ს რეგლამენტი) და მისი დანართი;
 - ღონისძიების რეგლამენტი (შეჯიბრის დებულება).
- 1.3. საქართველოს თასის შეჯიბრებები წყვილთა რბოლაში, ტარდება სსსფ-ს სატრეკო რბოლის სახეობათა კომისიის გადაწყვეტილებების და სსსფ-ს მიერ 2018 წლის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმის თანახმად.
- 1.4. მოცემული სსსფ-ს რეგლამენტი, ძალაშია დამტკიცების მომენტიდან.

მუხლი 2. ოფიციალური შეჯიბრების ამოცანები და მიზნები

- 2.1. ოფიციალური შეჯიბრება წყვილთა რბოლაში, ტარდება საუკეთესო მრბოლელების გამოსავლენად, სპორტული და სარბოლო უნარების ასამაღლებლად, მაყურებელში საავტომობილო დისციპლინებისა და ტექნიკური სახეობების პოპულარიზაციის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ავტომობილის უსაფრთხოდ მართვის პროპაგანდისათვის.

მუხლი 3. შეჯიბრების ჩატარების უფლება და ღონისძიებების კალენდარული გეგმა

- 3.1. წყვილთა რბოლაში, 2018 წელს საქართველოს თასის ჩატარების უფლება ეძლევა შ.პ.ს. „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“-ს.
მისამართი: თბილისი - წითელი ხიდის გზადკვეცილის 21-ე კილომეტრი
ვებ: გვერდი www.rim.ge
ელ. ფოსტა: info@rim.ge
- 3.2. სსსფ-ს სტრუქტურაში წყვილთა რბოლაში შეჯიბრების ჩატარებისას ორგანიზების პასუხისმგებლობა (კონტროლი) ეკისრება სსსფ-ს სატრეკო რბოლების სახეობათა კომისიას, რომელიც მოქმედებს სსსფ-ს შესაბამისი რეგულაციების თანახმად, სერიის ორგანიზატორებთან (პრომოუტერებთან) და უშუალოდ ღონისძიებების ორგანიზატორებთან ერთად.
- 3.3. სსსფ-ს სტრუქტურაში წყვილთა რბოლაში საქართველოს თასის შეჯიბრების ტექნიკურ რეგულაციებზე პასუხისმგებლობა (კონტროლი) ეკისრება სსსფ-ს ტექნიკურ კომისიას, რომელიც მოქმედებს სსსფ-ს შესაბამისი რეგულაციების თანახმად, შეჯიბრების ორგანიზატორებთან (პრომოუტერებთან) და უშუალოდ ღონისძიებების ორგანიზატორებთან ერთად.
- 3.4. ღონისძიებების კალენდარული გეგმა გამოიყურება შემდეგნაირად:

ეტაპი	თარიღი
I	13 მაისი 2018 წელი
II	01 ივლისი 2018 წელი
III	05 აგვისტო 2018 წელი
IV	07 ოქტომბერი 2018 წელი
V	18 ნოემბერი 2018 წელი

მუხლი 4. შეჯიბრების სტრუქტურა, ჯგუფები და კლასიფიკაციები

- 4.1. შეჯიბრების სტრუქტურა:
რბოლისთვის დაშვებული ავტომობილების კლასები და ჯგუფები:

AM	მებისმიერი მსუბუქი ავტო სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც გააჩნია სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობა. ამ კლასში მონაწილე მრბოლელს ბოლო 3 სპორტული სეზონის განმავლობაში მონაწილეობა არ უნდა ჰქონდეს მიღებული ისეთ საავტომობილო რბოლებში, რომელშიც სავალდებულოა სსსფ-ს ან ნებისმიერი ქვეყნის ესფ-ს მიერ გაცემული მრბოლელის ლიცენზია.
PRO	ნებისმიერი მსუბუქი ავტო სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც გააჩნია სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობა და სპორტული ავტომობილი, რომელსაც გააჩნია სსსფ-ს მიერ გაცემული სპორტული ავტომობილის ტექნიკური პასპორტი მათ შორის ლეგენდა (გარდა ღია თვლებიანი სპორტული ბოლიდებისა, ისეთი, როგორიცაა ფორმულა). ამ კლასში მონაწილე მრბოლელს აქვს მოქმედი ლიცენზია და ბოლო 3 სპორტული სეზონის განმავლობაში მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული ისეთ საავტომობილო რბოლებში, რომელშიც სავალდებულოა სსსფ-ს ან ნებისმიერი ქვეყნის ესფ-ს მიერ გაცემული მრბოლელის ლიცენზია. ამ კლასში შესაძლებელია მონაწილეობა მიიღონ იმ პირებმა, რომელთაც ეკუთვნით AM ჯგუფში მონაწილეობა;

4.2. ჯგუფების კლასიფიკაცია ძრავის მოცულობის მიხედვით

კლასიფიკაცია ჯგუფში	ძრავის მოცულობა
2000	2000 სმ ³ -ის ჩათვლით
3000	2001-დან 3000 სმ ³ -ის ჩათვლით
3000+	3001 სმ ³ -დან და ზევით (მათ შორის ლეგენდა მხოლოდ PRO ჯგუფში)

4.3. საქართველოს თასის 2018 წლის შეჯიბრებები წყვილთა რბოლაში, ტარდება 4.1. პუნქტის შესაბამის ჯგუფებში ძრავის მუშა მოცულობით (პუნქტი 4.2.) გათვალისწინებულ 2000, 3000 და 3000+ კლასებში.

4.4. კალენდარი - ღონისძიება ტარდება სსსფ-ს მიერ გამოცხადებული 2018 წლის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმის განსაზღვრულ პერიოდში.

4.5. კალენდარში შეტანილი ცვლილებები ქვეყნდება საიტზე - www.gasf.co დანაყოფში „კალენდარი“.

მუხლი 5. სარბოლო მონაკვეთი, სერვისის და საწვავ გასამართი ზონა

5.1. შეჯიბრების ჩატარების სარბოლო მონაკვეთი უნდა ექვემდებარებოდეს სსსფ-ს მოთხოვნებს.

5.2. შეჯიბრების მზადებისას სსსფ-ს სატრეკო კომისიის მიერ ხდება რბოლის ტერიტორიის შესწავლა, უსაფრთხოების ნორმების შემუშავება, კავშირგაბმულობის კვანძების დამუშავება და ყოველივე ამაზე დაყრდნობით დგება სარბოლო მონაკვეთის პასპორტი რომელსაც ამტკიცებს სსსფ-ს სატრეკო კომისია.

5.3. რბოლაში მონაწილე ავტომობილების საწვავით გამართვა შესაძლებელია, ორგანიზატორის მიერ გამოყოფილ და მონიშნულ ტერიტორიაზე, რომელიც აღჭურვილი იქნება ორი 5 კილოგრამიანი ცეცხლმაქრით და დაშორებული იქნება სერვისის ზონიდან მინიმუმ 30 მეტრით. სერვისის ზონაში აკრძალულია ავტომობილების საწვავით შევსება და აღნიშნული ქმედება დაექვემდებარება ორგანიზატორის მიერ დაწესებულ სანქციებს. ასევე შესაძლებელია ავტომობილის საწვავით გამართვა ორგანიზატორის მიერ, შეჯიბრების დამატებით რეგლამენტში (დებულება) მითითებულ საერთო სარგებლობის ავტოგასამართ სადგურებზე.

მუხლი 6. შეჯიბრების უსაფრთხოება

6.1. შეჯიბრების დაწყების წინ, რბოლის ხელმძღვანელი უსაფრთხოების კომისართან ერთად ამოწმებს ტრასის მზადყოფნას და მის შესაბამისობას ტრასის პასპორტთან.

6.2. რბოლის დაწყებამდე უსაფრთხოების და ტრასის კომისარი ამზადებს სარბოლო მონაკვეთს (ტრასას) და რბოლის დასრულებამდე პასუხისმგებელი არიან რბოლის უსაფრთხოებაზე.

- 6.3. შეჯიბრების ჩატარების დროს უსაფრთხოების დაცვის შესახებ პასუხისმგებლობას იღებს შეჯიბრების ორგანიზატორი, შეჯიბრების ხელმძღვანელი და უსაფრთხოების კომისარი, რომლებიც ვალდებული არიან შეაჩეროს რბოლა თუ არსებობს მყურებლის, ოფიციალური პირების, მრბოლელებისა და მონაწილე პერსონალის მიმართ სიცოცხლის ან ჯანმრთელობის საშიშროება.
- 6.4. შეჯიბრების ორგანიზატორი ვალდებულია, რომ სარბოლო ინციდენტის დროს გამოიყენოს ყველა მის ხელთ არსებული საშუალება, სარბოლო ეკიპაჟის ან ინციდენტში მონაწილე პირების გადასარჩენად. ორგანიზატორი პასუხისმგებლობას იხსნის, ინციდენტის გამო წარმოქმნილი ზარალის ანაზღაურებაზე.
- 6.5. მრბოლელების ეკიპირება უნდა შეესაბამებოდეს შეჯიბრების ტექნიკურ მოთხოვნებს და ტექნიკური კომისიის განკარგულებებს. საკითხის თანხვედრის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ბოლო რედაქციით შექმნილ დოკუმენტს.
- 6.6. რბოლის დროს ავტომობილში უნდა იმყოფებოდეს მხოლოდ მრბოლელი.
- 6.7. მანქანიდან უნდა იყოს ამოღებული ყველა ის ნივთი, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს უსაფრთხო რბოლას.
- 6.8. მრბოლელს უნდა ეხუროს ჩაფხუტი და შეკრული ჰქონდეს უსაფრთხოების ღვედი.
- 6.9. საგზაო შემთხვევის შემდეგ, თუ მრბოლელი ვერ ახერხებს სარბოლო მანქანით მოძრაობის გაგრძელებას, ის ვალდებულია დაემორჩილოს ორგანიზატორის წარმომადგენლის (მარშალის ან შეჯიბრების მომსახურე პერსონალის) მითითებებს.
- 6.10. შეჯიბრებების ორგანიზატორი ვალდებულია ორგანიზება გაუწიოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების მინიმუმ 1 (ერთი), სახანძრო და სამაშველო სამსახურების მინიმუმ 1-1 (თითო თითო) ეკიპაჟს;
- 6.11. სარბოლო ტრასის პერიმეტრზე განლაგებული მარშლები ალჭურვილი უნდა იყვნენ მინიმუმ 1 (ერთი) 5 (ხუთი) კილოგრამინი ცეცხლმაქრებით;

მუხლი 7. ოფიციალური პირები

- 7.1. შეჯიბრებაზე სსსფ-ს სატრეკო რბოლების სახეობათა კომისია ნიშნავს შემდეგ პასუხისმგებელ პირებს:
 - შეჯიბრების მთავარ კომისარს – სპორტულ კომისარს სსსფ-ს უფლებებით;
 - შეჯიბრების მთავარ ტექნიკურ კომისარს და ტექნიკური კომისიის დელეგატებს (ტექნიკური კონტროლიორები);
 - სსსფ-ს დამკვირვებელს.
- 7.2. მთავარი ტექნიკური კომისარი, რომელიც დანიშნულია სსსფ-ს მიერ, ხელმძღვანელობს ტექნიკური ინსპექციის მუშაობას, აკონტროლებს ტექნიკურ დელეგატებს (ტექნიკური კონტროლიორები), სარემონტო, გასამართი და დახურული პარკის კომისრებს.

- 7.3.** რბოლაზე სსსფ-ს არასატრეკო რბოლების სახეობათა კომისიას შეუძლია დანიშნოს შემდეგი ოფიციალური პირები:
- რბოლების ხელმძღვანელი;
 - უსაფრთხოების ავტომობილის მძღოლი;
 - შეჯიბრების მდივანი;
 - უსაფრთხოების კომისარი;

მუხლი 8. მონაწილეობის პირობები, მოთხოვნები მონაწილეების და მრბოლელების მიმართ

- 8.1.** ოფიციალურ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან შემდეგი პირები:
- პირები, რომელთაც გააჩნიათ ავტომობილის მართვის მოწმობა;
 - სსსფ-ს მიერ გაცემული, მოქმედი (ვადით 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) ან ბოლო 3(სამი) კალენდარული წლის პერიოდში აღებული ეროვნული E, F, M, და საერთაშორისო A, B, C, D, R კატეგორიის ლიცენზიები;
- 8.2.** შეჯიბრებაში მონაწილეები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:
- შეჯიბრებაში მონაწილეობის განაცხადი უნდა წარედგინოს ორგანიზატორს იმ ფორმით, რომელიც მოცემულია ორგანიზატორის მიერ.
 - განაცხადის წარუდგენლობის შემთხვევაში მრბოლელი შეჯიბრებაზე არ დაიშვება.
- 8.3.** განაცხადი მონაწილეობაზე უნდა იყოს შევსებული ქართულ ენაზე და ფედერაციის მიერ დამტკიცებული ფორმით.
- 8.4.** შეჯიბრებაში მონაწილეობის გადასახადი, რომელიც მითითებული იქნება ორგანიზატორის მიერ გამოცემულ შეჯიბრების დებულებაში, გადახდილ უნდა იქნას რეგისტრაციის პერიოდის დასრულებამდე.
- 8.5.** მრბოლელი რეგისტრირდება კონკრეტულ კლასში, რომელშიც იმართება რბოლა თუ დაკმაყოფილებულია არსებული რეგლამენტის 10.2. პუნქტი. კლასში გამოვლენილ პრიზიორებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ PRO ჯგუფის იმ კლასში, რომელსაც შეესაბამება მისი ავტომობილი ან მაღალ კლასში, რომელშიც მომწილეობის პირობებს განსაზღვრავს ორგანიზატორი და ყოველივე მითითებულია შეჯიბრების დებულებაში;

მუხლი 9. დაშვებული ავტომობილები და ტექნიკური მოთხოვნები

- 9.1.** მონაწილეობის უფლება აქვს ყველა ავტომობილს რომელიც აკმაყოფილებს საერთო სარგებლობის გზებზე მოძრაობის ნორმებს, FIA-ს დანართი J-ის და სსსფ-ის ტექნიკურ მოთხოვნებს. ყველა მონაწილემ, რომელიც მონაწილეობენ შეჯიბრებაში უნდა წარმოადგინონ სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობა, სსსფ-ს ან სხვა ქვეყნის ესფ-ს მიერ გაცემული „სპორტული ავტომობილის ტექნიკური პასპორტი“ იმ ავტომობილისთვის, რომლითაც მონაწილეობს შეჯიბრებაში.
- 9.2.** ავტომობილის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, რაც შეიძლება გახდეს რბოლიდან გამოსვლის მიზეზი, ან ავტომობილის იმგვარად დაზიანების შემთხვევაში თუ მან შეძლო რბოლის დასრულება, ავტომობილი უნდა წარედგინოს ტექნიკურ კომისარს ან ტექნიკურ შემმოწმებელს, რის შემდეგაც მიიღება გადაწყვეტილება მისი შემდგომ რბოლაზე დაშვების ან არ დაშვების შესახებ;

- 9.3.** ტექნიკური ინსპექცია წარმოებს წყვილთა რბოლის ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად.
- 9.4.** შეჯიბრებაში მონაწილე ავტომობილი უნდა აკმაყოფილებდეს როგორც ტექნიკურ, ასევე უსაფრთხოების ნორმებსა და მოთხოვნებს.
- 9.5.** ნებისმიერი ავტომობილი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს უსაფრთხოების ან ტექნიკურ მოთხოვნებს, არ დაიშვებიან შეჯიბრებაზე. ასევე არ დაიშვება ავტომობილი, რომლის კონსტრუქციაც საფრთხის შემცველად ჩაითვლება ტექნიკური კომისიის გავლის დროს.
- 9.6.** დაიშვებიან მხოლოდ იმ ავტომობილებით, რომელიც რეგისტრირებულია და გააჩნია სახელმწიფო ნომერი ან რეგისტრირებულია საავტომობილო სპორტის ფედერაციაში როგორც სპორტული ავტომობილი და გაჩნია ფედერაციის მიერ გაცემული შესაბამისი მოწმობა (სპორტული ავტომობილის ტექნიკური პასპორტი).
- 9.7.** შეჯიბრებაზე დაიშვებიან ის ავტომობილები რომელთა უსაფრთხოების ყველა კვანძი (სავარძლები, უსაფრთხოების ღვედები და ა.შ.) იქნება მინიმუმ ქარხნული კომპლექტაციის და აკმაყოფილებდეს შეჯიბრების ტექნიკურ მოთხოვნებს. შეჯიბრებაზე დაშვებული სპორტული ავტომობილის უსაფრთხოების კარკასი კი უნდა შეესაბამებოდეს 2018 წლის FIA-ს დანართი J, პუნქტი 253.8-ის მინიმალურ მოთხოვნებს.
- 9.8.** შეჯიბრებაში ჩათვლას იღებენ ისეთი ავტომობილები, როგორებიც განსაზღვრულია ამავე რეგლამენტის პუნქტი 4.2-ში.
- 9.9.** შეჯიბრების კომისრებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს შეამოწმონ ნებისმიერი მონაწილის ავტომობილი. შემოწმების დროს მრბოლელი ვალდებულია დაემორჩილოს შეჯიბრების კომისრების მოთხოვნას. ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში მრბოლელი ვალდებულია საკუთარი ძალებით მოახდინოს კომისრების მიერ მოთხოვნილი დეტალების დემონტაჟი ან საჭიროების შემთხვევაში, მონტაჟი. ამ მოთხოვნაზე დაუმორჩილებლობის შემთხვევაში მრბოლელი დისკვალიფიცირებული იქნება აღნიშნული შეჯიბრებიდან და მისი საკითხი განსახილველად გადაეცემა სსსფ-ს.
- 9.10.** შეჯიბრებაში მონაწილე ავტომობილზე უნდა გამოიყენებოდეს ის საბურავები, რომლებიც მითითებულია შეჯიბრების ტექნიკურ მოთხოვნებში ან მის დამატებებში.

მუხლი 10. შეჯიბრების წესები.

- 10.1.** ოფიციალური შეჯიბრება ტარდება პირად ჩათვლაში, პუნქტი 4.1. შესაბამისად.
- 10.2.** კლასი შექმნილად და მოქმედად ითვლება თუ მასში რეგისტრირებულია, ტექნიკური კომისია გავლილი აქვს და რბოლის სტარტი აიღო მინიმუმ 4 (ოთხი) ავტომობილმა.
- 10.3.** შეჯიბრება შედგება რამოდენიმე გარბენისგან. კონკრეტულ კლასში ვლინდება გამარჯვებული და პრიზიორები (მე-2 და მე-3 ადგილოსნები). ორ მრბოლელს შორის პაექრობა სრულდება მათ შორის გამარჯვებულის გამოვლენამდე. ორ მრბოლელს შორის იმართება რბოლა, პირველი რბოლის შემდეგ მონაწილეები ცვლიან სასტარტო პოზიციას. თუ ამ ორ რბოლაში მონაწილეებს შორის არის ფრე, ინიშნება მე-3 საკონტროლო რბოლა, რომელში გამარჯვებულის ითვლება კონკრეტულ პაექრობაში გამარჯვებულად და გადადის შემდეგ ეტაპზე.

- 10.4. რბოლის დროს გადასწრება უნდა მოხდეს უსაფრთხოდ, უსაფრთხო ადგილზე, მრბოლელს რომელსაც ასწრებენ ვალდებულია გზა დაუთმოს გამსწრებს. ეკრძალება გზის დაბლოკვა.
- 10.5. კატეგორიულად აკრძალულია ტრასაზე საპირისპირო მიმართულებით მოძრაობა.
- 10.6. როგორც AM ასევე PRO ჯგუფში პრიზიორები დაჯილდოვდება თუ თითოეულ სარბოლო კლასში იქნება მინიმუმ 4 (ოთხი) მრბოლელი.
- 10.7. ჯგუფი შემდგარად ითვლება თუ მასში არ შედგა არცერთი კლასი, მაგრამ რეგისტრირებულია მინიმუმ 4 (ოთხი) მრბოლელი;
- 10.8. სასტარტო რიგითობა დგინდება, კლასების სიდიდის მიხედვით, მატების პრინციპით (2000, 3000 და 3000+). ხოლო კლასში რიგითობას განსაზღვრავს შეჯიბრების ხელმძღვანელი. მრბოლელების დაწყვილების პრინციპს გადაწყვეტს შეჯიბრების ხელმძღვანელი. ეს შეიძლება იყოს კენჭისყრით, ან კვალიფიკაციის დროს ნაჩვენები დროების შესაბამისად.
- 10.9. ყველა მონაწილე წყვილი სტარტზე დგება დახურული პარკის მარშალის მითითებით და პაექრობის დასრულების შემდეგ ბრუნდება დახურულ პარკში;
- 10.10. ფინიშის ალმის ჩვენების შემთხვევაში, სტარტის ზოლის გადაკვეთის შემდგომ, მრბოლელი ტოვებს სარბოლო ტერიტორიას. ამ წესის არ დამორჩილების შემთხვევაში, მრბოლელი დისკვალიფიცირებული იქნება და დასრულებული პაექრობის შედეგი იქნება ანულირებული. წყვილში გამარჯვებულ მრბოლელს ასეთ შემთხვევაში გაუუქმდება შედეგი და წყვილში დამარცხებული გამოცხადდება პაექრობის გამარჯვებულად;
- 10.11. რბოლის წინა კვალიფიკაციის შემთხვევაში დროის ათვლა ხდება ელექტრონული ქრონომეტრაჟის სისტემებით 0.001 წამის სიზუსტით.
- 10.12. ტექნიკური რეგულაციის დარღვევის შემთხვევაში მრბოლელს უუქმდება შეჯიბრების შედეგი.
- 10.13. იმ შემთხვევაში, თუ ავტომობილს ინციდენტის გამო აკლია რაიმე დეტალი, სერვისის პერიოდში უნდა აღმოიფხვრას დაზიანება. ეკიპაჟი თუ ვერ აღადგენს ავტომობილის პირვანდელ სახეს კომპლექტაციის (ავტომობილს არ უნდა აკლდეს ძარის გარე ნაწილები) თვალსაზრისით, მრბოლელის მიერ რბოლის გაგრძელების საკითხს გადაწყვეტს შეჯიბრების კომისარი.
- 10.14. შეჯიბრებაში მონაწილეობის მიმდებარე ითვლება მრბოლელი, რომელმაც მიიღო რბოლის სტარტი.

მუხლი 11. სასტარტო ნომრები, სავალდებულო წარწერები, რეკლამა

- 11.1. მრბოლელებისთვის სასტარტო ნომრების მინიჭება ხდება შეჯიბრების ორგანიზატორის მიერ.
- 11.2. სარბოლო ავტომობილზე აუცილებელ წარწერებად გვევლინება შემდეგი:
 - ორგანიზატორმა უნდა უზრუნველყოს მონაწილე ყველა სავალდებულო აბრის კომპლექტით. მონაწილე თავის მხრივ ვალდებულია შეჯიბრების პერიოდში დატანილი ჰქონდეს

ავტომობილზე ყველა სავალდებულო აბრა, წინააღმდეგ შემთხვევაში მის წინააღმდეგ ამოქმედდება ფინანსური ჯარიმა.

- მონაწილემ ავტომობილის ორივე მხარეს (შესაძლებელია ეს იყოს ავტომობილის უკანა გვერდითი მინები) უნდა დაიტანოს ორგანიზატორის მიერ გაცემული საბორტე ნომრები. ავტომობილზე იკრძალება ორი სხვადასხვა ნომრის დატანა;

11.3. სავალდებულო წარწერები ავტომობილზე უნდა ოყოს განთავსებული ტექნიკურ შემოწმებამდე და შენარჩუნებული იქნას შეჯიბრების დამთავრებამდე. სავალდებულო წარწერების შემოწმება შეიძლება ჩატარდეს, სტარტის წინა ზონაში. სავალდებულო წარწერების არ ქონის შემთხვევაში, ავტომობილი შეჯიბრებაზე არ დაიშვება. თუ შეჯიბრების განმავლობაში გაირკვა, რომ ავტომობილს აკლია თუნდაც ერთი სავალდებულო წარწერა, მრბოლელი შეიძლება დაჯარიმდეს შეჯიბრების დებულების შესაბამისად.

11.4. მონაწილეებს აქვთ უფლება განათავსონ თავიანთ სარბოლო ავტომობილებზე ნებისმიერი სახის რეკლამა, თუ ის:

- არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.
- არ ფარავს ხედს მძღოლის ადგილიდან.
- არ ეწინააღმდეგება მორალისა და ეთიკის ნორმებს.
- მისი შინაარსით არ არის პოლიტიკური ან რელიგიური.
- არ არის შეურაცხმყოფელი ხასიათის.
- არ იკავებს სავალდებულო წარწერებისა და სასტარტო ნომრის ადგილებს.
- არ ეწინააღმდეგება შეჯიბრების რეგლამენტს.

11.5. მონაწილის მიერ ნებისმიერი სარეკლამო კამპანია, სარეკლამო ვაჭრობის ან პრომო აქციის წარმოება სარბოლო მონაკვეთზე და პარკირების ზონებში, ხორციელდება შეჯიბრების ორგანიზატორის წერილობითი ნებართვის საფუძველზე.

11.6. სავალდებულო და არასავალდებულო რეკლამის განთავსების დამატებითი პირობები ცხადდება ორგანიზატორის მიერ ეტაპის რეგლამენტით (დებულებით).

მუხლი 12. შედეგების განსაზღვრა და დაჯილდოება

12.1. შეჯიბრებაში გამარჯვებული ვლინდება ნახევარფინალური და ფინალური გარბენების შემდეგ;

12.2. შეჯიბრებაში გამარჯვებული და პრიზიორი ვლინდება როგორც კლასებში, ასევე ჯგუფში (ჯგუფის აბსოლუტი);

12.3. ჯგუფის აბსოლუტში მონაწილეობენ ამ ჯგუფის კლასების პრიზიორები, რომელთა დაწყვილება ხდება კენჭისყრის შედეგად.

12.4. რბოლის დროს დაკავებული ადგილის მიხედვით ქულა ენიჭება მონაწილეს. თითოეულ ეტაპზე ქულები ნაწილდება:

დაკავებული ადგილი	ქულა
1	8
2	6
3	4

დამტკიცებულია სსსფ-ს საკანონმდებლო კომისიის მიერ 2018 წელი

4	3
5	2
6	2
7	2
8	2

შეჯიბრებაში მეთექვსმეტედ ფინალში რბოლიდან გათიშულ 8 (რვა) მრბოლელს მრბოლელს ეწერება 1 (ერთი) ქულა.

12.5. წლიური შედეგი დგინდება ეტაპებზე მოპოვებული ქულათა ჯამის შედეგად შემდეგ კლასებში:

ჯგუფი	კლასი
AM	2000
	3000
	3000+
PRO	2000
	3000
	3000+

და თითოეული ჯგუფის აბსოლუტურ ჩათვლაში;

წლიური შედეგი არ მიენიჭება კლასს, თუ ეს კლასი ჩაითვალოს არ შემდგარად და მასში მონაწილე მრბოლელების შედეგები არ იქნება გათვალისწინებული (ანულირდება). წლის ჭრილში არ შემდგარად ჩაითვლება ის კლასი, რომელიც არ შედგა რბოლების საერთო რაოდენობის 70%-ზე ნაკლების შემთხვევაში;

თუ ორ ან მეტ მრბოლელს, წლის ბოლოს დაუფიქსირდათ ერთნაირი ქულები, ადგილები მათ შორის შემდეგნაირად გადანაწილდება:

- 1) მეტი პირველი ადგილი კონკრეტულ კლასში განვლილ ეტაპებზე;
- 2) მეტი მეორე ადგილი კონკრეტულ კლასში განვლილ ეტაპებზე;
- 3) მეტი მესამე ადგილი კონკრეტულ კლასში განვლილ ეტაპებზე;
- 4) საუკეთესო შედეგი ბოლო ეტაპზე;
- 5) თუ ამ საკითხების გათვალისწინების შემდეგაც ვერ დადგინდა გამარჯვებულის ვინაობა, ორგანიზატორი ერთპიროვნულად დაასახელებს მათ, იმ ნიუანსების გათვალისწინებით, რომლებსაც თავად ჩათვლის მისაღებად.

12.6. შეჯიბრებაში შედეგი ფიქსირდება:

- ჯგუფში ძრავის მოცულობის მიხედვით (კლასებში);
- ჯგუფის აბსოლუტურ ჩათვლაში;

12.7. შედეგების დათვლის პროცესს აწარმოებს ორგანიზატორი და ქვეყნდება სსსფ-ს ვებ გვერდზე www.gasf.co დანაყოფში „შედეგები“.

12.8. მრბოლელები, რომლებმაც შეჯიბრებების საერთო ჯამში დაიკავეს პირველი 3 (სამი) საპრიზო ადგილი დასახელებულ იქნებიან:

- 1 ადგილი - წყვილთა რბოლაში საქართველოს თასის გამარჯვებული კლასში/ჯგუფურ ჩათვლაში;

- 2 ადგილი - წყვილთა რბოლაში საქართველოს თასის მე-2 ადგილოსანი კლასში/ჯგუფურ ჩათვლაში;
- 3 ადგილი - წყვილთა რბოლაში საქართველოს თასის მე-3 ადგილოსანი კლასში/ჯგუფურ ჩათვლაში;

12.9. ორგანიზატორის მიერ დაწესებული პრიზი (მედალი, თასი, დიპლომი, ფულადი პრიზი, პრიზი და ა.შ.) გადაეცემა მონაწილეს.

მუხლი 13. პროტესტი, აპელაცია

13.1. ნებისმიერი პროტესტის განცხადება ექვემდებარება სსსფ-ს სპორტული კოდექსის მოთხოვნებს და თან ახლავს თანხობრივი შესატანი, რომლის ოდენობაც განისაზღვრება ღონისძიების რეგლამენტით.

13.2. თუ პროტესტი ითვალისწინებს რამოდენიმე მოცემულ შეჯიბრებაში მონაწილე ავტომობილის ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისობის შემოწმებას, მაშინ პროტესტი უნდა გაცხადდეს თითოეული ავტომობილის საწინააღმდეგოდ ცალ-ცალკე, ხოლო ფულადი შესატანის თანხა მრავლდება პროტესტს ქვეშ არსებული ავტომობილების რაოდენობაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც პროტესტის განხილვისათვის საჭიროა ავტომობილის ნაწილის დათვალიერება ან მისი დაშლა, პროტესტის შემომტანმა ტექნიკური გირაოს სახით უნდა შემოიტანოს თანხა, რომელიც პროტესტის განსახილველად შემოტანილი თანხის ტოლფასია. პროტესტი არ შეიძლება შეტანილი იქნას ავტომობილზე სრულად. უნდა იქნეს მითითებული ავტომობილის ცალკეული პარამეტრი, რომელის შემოწმებაც განიხილება.

13.3. მონაწილე რომლის მიმართაც არის შემოსული პროტესტი, ვალდებულია წარმოადგინოს საჭირო რაოდენობის პერსონალი და ინვენტარი, რომელიც საჭიროა აღნიშნული სამუშაოს შესასრულებლად (დემონტაჟი ან/და აწყობა).

13.4. მრბოლელის ან მონაწილის მხრიდან არაკორექტული საქციელის შემთხვევაში მას დაეკისრება სასჯელი თანახმად საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის კოდექსის თავი 11-სა.

13.5. იმ შემთხვევაში თუ პროტესტი შემოტანილ იქნება, რომელიმე მრბოლელის მხრიდან ტექნიკურ დარღვევასთან დაკავშირებით, პროცედურა წარიმართება საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის კოდექსის თავი 12-სა.

13.6. იმ შემთხვევაში, როდესაც მაპროტესტებელი პირი არ ეთანხმება სპორტული კომისარების კოლეგიის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას, მას აქვს უფლება შეიტანოს აპელაცია სსსფ-ში. სსსფ-ში აპელაციის შეტანას განსაზღვრავს სსსფ-ს კოდექსი.

მუხლი 14. მასობრივი საინფორმაციო საშუალებების აკრედიტაცია.

14.1. მასობრივი საინფორმაციო საშუალებებისა და მათი წარმომადგენლების ყველა ოფიციალურ შეჯიბრებაზე აკრედიტირება ხორციელდება სსსფ-ს მიერ ან აღნიშნულს ავალებს ღონისძიების ორგანიზატორებს.

14.2. შეჯიბრების ოფიციალური ინფორმაცია წარედგინება მხოლოდ აკრედიტებულ ჟურნალისტებს.

დამტკიცებულია სსსფ-ს საკანონმდებლო კომისიის მიერ 2018 წელი